ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 15-31

"25" ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-7 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ,,რ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ" ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დადგინა:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მესამე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ¹" ქვეპუნქტი:

,,თ¹) დედაქალაქში შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვის წესს და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას."

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებაში დამატების შეტანის მიზეზი:

დედაქალაქის მაცხოვრებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულმა ინფორმაციებმა (წერილები/განცხადებები), ასევე სხვადასხვა ბოლოდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ საჭიროა დედაქალაქში შინაური და ასევე უპატრონო (კერძოდ, ძაღლები და კატები) ცხოველების მიმართ განსაკუთრებული მიდგომების შემუშავება, რაც ნაკარნახევია მოსახლეობის ყოველდღიურად მზარდი უსაფრთხო და ეკოლოგიურად ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფით.

დედაქალაქის წინაშე მწვავედ დგას გარემოს დაცვის, მათ შორის ცხოველთა დაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რომელიც დიდწილად დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ მუნიციპალური დონის კანონქვემდებარე აქტები არაკონკრეტული და არადეტალიზებულია, იძლევა ორაზროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას, შესაბამისად პრაქტიკაში გამოყენების ნაკლები ეფექტიანობით ხასიათდება. მაგალითად ისიც გამოდგება, რომ დედაქალაქში დღემდე ვერ განხორციელდა უპატრონო ცხოველების (ძაღლებისა და კატების) რეგისტრაცია, ასევე პატრონიანი შინაური ცხოველების, კერძოდ კი – ძაღლების ლიცენზირება; მოსახლეობას არ გააჩნია აღნიშნულ სფეროში აუცილებელი მინიმალური განათლება, ცხოველებთან მიმართებაში (მათი მოვლა-პატრონობა თუ პოპულაციების მართვა) შეგნების დონე დაბალია, იგნორირებულია სხვა პროგრესული მიდგომები.

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მიღებამ უფრო მკაფიოდ განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის – მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, კერძოდ, მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის, "რ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიაკუთვნა შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულებაში შემოთავაზებული დამატებით უზრუნველყოფილი იქნება კომისიის ჩართვა მუნიციპალურ დონეზე აუცილებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების პროცესში შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით.

2 „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებაში დამატების შეტანის მიზანი

დამატების მიღების მიზანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციის მკაფიოდ ჩამოყალიბება და მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის წარმართვა; კერძოდ, დედაქალაქში შინაურ და/ან უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებით:

ა) საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა;

ბ) დედაქალაქში არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასება და მისი გაუმჯობესების მიზნით შესაბამის ღონისძიებათა განსაზღვრა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიმართ საკრებულოს დამატებითი მაკონტროლებელი ფუნქციით აღჭურვა;

დ) მოსახლეობაში აქტიური პროპაგანდის წარმოება და მათი ჩართვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.